პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
პარასკევი
19 ოქტომბერი
№ 241 (17586)
ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი

დიდი ოქტომბრის შესახვედრად

შეჯიბრება

გრაფიკის გასწრებით

ამიერკავკასიის „მეტალურგშენის“ ლენინის ორდენოსანი ტრესტის მშრომელები დადგნენ საოქტომბრო ვახტზე და ვადაზე ერთ თვეზე მეტი ხნით ადრე მონტაჟისა და ამუშავება-გამართვის სამუშაოებისათვის გადასცეს სუსტი აზოტმჟავას საამქრო. ტრესტის მშრომელები რუსთავის ქიმიური ქარხნის ახალ ობიექტებს აშენებენ. ახლა ისინი შრომობენ ამონიუმის გვარჯილისა და ამიაკის წარმოების საამქროთა ასაშენებლად.

დაზოგეს 6 ტონა საწვავი

თბილისი. მიმდინარე ხუთწლედის მეოთხე წლის განვლილ ცხრა თვეში გეგმასთან შედარებით 187,4 ათასით მეტი მგზავრი გადაიყვანა დედაქალაქის № 6 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს (დირექტორი ა. მარგალიტაძე) კოლექტივმა, რითაც მოცემულ დავალებას 3,2 პროცენტით გადაამეტა. იანვარ-სექტემბერში ასევე მნიშვნელოვანი 9,4 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა შემოსავლის გეგმა, რამაც გათვალისწინებული მილიონ 92 ათასი მანეთის ნაცვლად მილიონ 195 ათასი მანეთი შეადგინა. შრომის ნაყოფიერების ზრდამ კი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5 პროცენტს მიაღწია. ცხრა თვის მანძილზე 6 ტონა საწვავი დაიზოგა.

თ. კეთილაძე.



ოცდაექვსი წლის წინათ, № 6 პროფესიონულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა თბილისის კოროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში გურამ ტანიაშვილი და აწყობ ზეინკლად დაიწყო მუშაობა. დროთა განმავლობაში დაჯილდოსტაკობა და ახლა იგი საწარმოს ერთ-ერთი წამყვანი მუშაა. შრომის ვეტერანს გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წლის დამლევს შეასრულოს მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმა. გ. ტანიაშვილის ნახელვანი, ჩვეულებრივ, მხოლოდ ფრიად შეფასებას იმსახურებს.

სურათზე: გურამ ტანიაშვილი.

ა. სასაკოვის ფოტო.

ჩვენს ქვეყანაში

გაუმარჯოს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმურ მეგობრობას და ურყევ ერთიანობას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საშვიდნოემბრო მოწოდებებიდან

კიევი

სახელგანთქმული „მირონოვულას“ ყველას საუკეთესო თვისება აქვს „დრუჟბა-1“ და „დრუჟბა-2“ საშემოდგომო ხორბლის ჯიშებს, რომლებიც გამოიყვანეს ერთობლივი მეცადინეობით მირონოვულას ხორბლის სელექციისა და მეთესლეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მარცვლეული კულტურების გამოცდის სელექციონერებმა. მეორე წელია ამ ჯიშებს ამოწმებენ საცდელ უბნებზე. მათ კარგად გადაიტანეს მიმდინარე წლის გვალვა უკრაინაში და უხვი მოსავალი მისცეს მიწათმოქმედთ — თავი იჩინა „მშობლების“ ამტანობამ. ხოლო ის, რომ ისინი არ ავადდებიან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოტანილი სელექციო მასალის დამსახურებაა. ამჟამად ორი ქვეყნის მეცნიერები შეიმუშავებენ ამ კულტურის მოყვანის აგროტექნიკას წარმოებაში მისი ფართოდ დანერგვისათვის.

ლენინგრადი

ორმოცდაათი მძიმე წონის მატარებლის შედგენა შეიძლება სადგურ ლენინგრადის მოსკოვმახარისხებელი სადგურის დამატებითი დატვირთვისათვის წლის დამდეგიდან გამოთავისუფლებული ვაგონებისაგან. აქ ყოველი მატარებელი ვადამდე მუშავდება. მათი შედგენის რაციონალური სქემის დანერგვამ მნიშვნელოვნად დაიჩქარა პლატფორმების, ცისტერნების, რეფრიჟერატორების ბრუნვა. ახლა აქ სრულდება ოქტომბრის რკინიგზის მთელი სახარისხებელი სამუშაოს მეოთხედი.

ვილნიუსი

იუზბარაკასის რაიონის სამეურნეოთაშორისო გაერთიანებასთან არსებული სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდობის დიდმა ჯგუფმა მიიღო მეცხოველეობის კომპლექსების ოპერატორების, ელექტრომონტიორების, საკვების საამქროს აგრეგატების მეშინჯანთა სპეციალისტები. შვიდი მეურნეობის სახსრებით შექმნილ სკოლაში მეცადინეობას ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტები, ვეშვილის სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებლები. მსგავსი სკოლები მოქმედებს ლიტვის ოც სამეურნეობათაშორისო გაერთიანებასთან, რომლებიც აშენებენ მეღორეობისა და მერძევეობის დიდ კომპლექსებს.

ალმა-ათა

უაზახეთის დედაქალაქში დაიწყო ავტომანქანების გადაყვანა ნაკლებტოქსიკურ სათბობზე — გათხევადებულ ბუნებრივ გაზზე. გასაწყობ სადგური განკუთვნილია დღე-ღამეში ექვსასი მანქანის მომსახურებისათვის. ამჟამად ქალაქში შენდება მეორე, უფრო დიდი სადგური. ახალი სახეობის საწვავზე ავტოტრანსპორტისა გადაყვანა გათვალისწინებულია ალმა-ათის „ტბოსფერის“ გაჯანსაღების პროგრამით.

ვორონეჟი

გრიბანოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „ელანსკის“ კომბაინერი ი. კოზლოვი წარჩინებული ვორონეჟელი მეჭარხლის სოციალისტური შრომის გმირის ვ. ბუშმანოვის სახელობის გარდამავალი პრიზის მფლობელი გახდა. მან ჭარხალი უკვე 180 ჰექტარზე აიღო. მოწინავე მექანიზატორმა თავის მეურნეობაში მოსავლის აღება დაამთავრა და ახლა ამხანაგებთან ერთად მეზობელი ტერნოვკის რაიონის ყანებში მუშაობს. მიწათმოქმედთა ურთიერთდახმარება აჩქარებს ალოობის ტემპს. შაქრის ჭარხალი ოლქში აღებულია 200 ათას ჰექტარზე. (საკდესი).

ფოტოინფორმაცია

ახალი სიმაღლეები



ბარნაულის საბურავების ქარხნის მშრომელებმა 1979 წელს მაღალი სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს. ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა გეგმის გადამეტებით გამოუშვას 200 ათასი მანეთის სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქცია.

ამას წინათ ქარხნის კონვეიერიდან ჩამოვიდა ორი ახალი ნიმუშის საბურავები, რომლებიც განკუთვნილია მძიმეწონიანი და მსუბუქი ავტომანქანებისათვის.

სურათზე: ქარხნის მზა პროდუქციის საწყობში.

მკურნალია... ძილი

ელექტროძილს — იმპულსური დენებით ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედებას — იყენებენ დაღლილობის პროფილაქტიკისათვის, მატარებლების დისპეტჩერების, ლოკომოტივების მემანქანეებისა და სხვა სარკინიგზო პროფესიების მუშაკების შრომის უნარიანობის ამაღლებისათვის, რომლებსაც დიდი ემოციური დატვირთვები აქვთ საწარმოო ამოცანების გადაწყვეტისათვის დროის დეფიციტის გამო. ეს მეთოდი ერთ-ერთია მრავალთაგან, რომლებსაც პროფესიულ დაავადებათა პროფილაქტიკისათვის იყენებენ. იგი შეიმუშავეს და დანერგეს გზათა სამინისტროს რკინიგზის მიგიენის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა მოსკოვის რკინიგზის მოსკოვ-კურსკის განყოფილების პოლიკლინიკის ექიმებთან ერთად.

ელექტროძილის პროცედურები სპეციალურად აღჭურვილ კაბინეტში ეწყობა სამუშაო ცვლის წინ ან მის შემდეგ. მთელ კურსს შეადგენს 15-16 თითოსაათიანი სეანსი. ერთი ასეთი პროფილაქტიკური კურსის ეფექტი 6-8 თვეს გრძელდება. იგი აწესრიგებს არტერიულ წნევას, აუმჯობესებს ტვინში სისხლის მიმოქცევას, აჭარვებს ზედმეტ ნერვულ დაძაბულობას, აუმჯობესებს ღამის ძილს და ზრდის შრომის უნარს. ელექტროძილი უვნებელია: არავითარ გართულებებსა და თანმდევ მოვლენებს არ იწვევს. ელექტროძილის ერთსაათიანი პროცედურა დასვენების თვალსაზრისით ღამის რვაასაათიან სრულფასოვან ფიზიოლოგიურ ძილს უთანაბრდება.

სურათზე: დისპეტჩერი სერგი ვიშტოლი. მას, ისევე როგორც მის კოლეგებს, სწრაფად და ზუსტად უხდება მრავალი საწარმოო ამოცანის გადაწყვეტა.

(საკდესის ფოტოქრონიკა).



მისალმება

ცეკავშირის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო სხდომის მონაწილეებისადმი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან საქართველოს სამეცნიერო-მხმარებლო საზოგადოებათა კავშირის — ცეკავშირის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის მონაწილეებს და მათი სახით რესპუბლიკის ყველა კოოპერატორს, ყველა მეპაიეს.

„კოოპერაცია უდიდესი კულტურული მემკვიდრეობაა, რომელიც უნდა დავაფასოთ და გამოვიყენოთ“, — ასე განსაზღვრავდა კოოპერაციის არსს ვ. ი. ლენინი. დღეს, განვითარებული სოციალიზმის პირობებში, საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციას უდიდესი როლი აკისრია ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების თანდათანობითი მოსპობის საქმეში, პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში, იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში, რომლებიც პარტიის XXV ყრილობამ დაგვისახა მთელი ჩვენი მოსახლეობის და კერძოდ სოფლის მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლების, მათი სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების მკვეთრი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უკანასკნელი წლების წარმატებებში, რაც ექვსჯერ ზედიზედ აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, თვისი გარკვეული წვლილი შეჰქონდა და შეაქვს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მრავალათასიან კოლექტივს.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას თავისი განვითარების ხანგრძლივი და სახელოვანი ისტორია აქვს, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში იღებს სათავეს, მაგრამ მისი აქტიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური როლი და სამეურნეო-ორგანიზატორული საქმიანობის ცხოველსუნარიანობა მთელი ძალითა და გაქანებით მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოვლინდა.

სამომხმარებლო კოოპერაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რესპუბლიკის სოციალისტური განვითარების ყველა ეტაპზე. იგი თავისი მზარდი, მრავალდარგოვანი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეფექტიანობა, რასაც შეიძლება მივაწეროთ მუშაობის სტილის, მართვის სისტემის შემდგომი სრულყოფითა და დახვეწით, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერებით, სამეურნეო ანგარიშიანობის ყოველმხრივი გაძლიერებით. უფრო მეტად უნდა ვიმუშაოთ კადრებთან, ავამაღლოთ თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა, გავაძლიეროთ ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომ სრულად აღმოვფხვრათ კოოპერატიული ქონების ხელყოფისა და უყაირათობის ფაქტები, შევაჩვიოთ ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი მთელ სისტემაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის 60-ათასიანი კოლექტივი მეტ დარაზმულობასა და მიზანსწრაფვას გამოიჩენს დასახული გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულების საქმეში, ახალი წარმატებებით აღნიშნავს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, ღირსეულ წვლილს შეიტანს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

დიდი მშენებლობის ფინიშზე

რუსთავის ქიმიური ქარხნის ახალი ობიექტების მშენებლობაზე გადამწყვეტი დღეები დადგა. წლის ბოლომდე აქ საეკსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს ყველაზე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ამიაკის, სუსტი აზოტმჟავის და ამონიუმის გვარჯილის წარმოების კომპლექსური საამქროები. არსებითად, მოქმედ ქარხანაში შენდება ახალი საწარმო, რომლის სიმძლავრეა წელიწადში მილიონ ტონაზე მეტი პროდუქცია.

რუსთავის დიდი ქიმიისობიექტების აშენებაში მთელი ქვეყანა გვეხმარება. რუსთაველ მშენებლებთან და მემონტაჟეებთან მხარდამხარ შრომობენ მოსკოვის, ლენინგრადის, ხაბაროვსკის, კალინინგრადის, ვორონეჟის, ტრასპოლის, ბაქოს, ნიჟნეკამსკის, ღნეპროპეტროვსკისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების სამონტაჟო ორგანიზაციათა წარმოგზავნილები.

მუშაობის ტემპი დღითი დღე მატულობს. თითქმის ყველა ბრიგადა, უბანი, სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო მნიშვნელოვნად აჭარბებს დავალებებს, წინ უსწრებს გრაფიკს.

18 ოქტომბერს ქიმიური ქარხნის ახალი ობიექტების მშენებლობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი. მათთან ერთად იყვნენ რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი ნ. ა. მელმარიაშვილი და „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს უფროსი გ. გ. გამყრელიძე. მათ დაათვალიერეს ასამქრედებელი კომპლექსების სანეინერო-ტექნიკური ნაგებობანი. ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველი კ. ვ. გოგიჩაიშვილი, ქიმიური ქარხნის დირექტორი გ. ტ. გოგოლაძე, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს უფროსის მოადგილე ა. ა. ავეტისოვი ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

მშენებლობის ხელმძღვანელობის შტაბში გაიმართა მოწინავე ბრიგადების ხელმძღვანელების, სამუშაოთა მწარმოებლების, უბნების და სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოების უფროსების თათბირი.

რესპბლიკის დიდი ქიმიის ფლაგმანის ასამოქმედებელ ობიექტებზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა შტაბის უფროსმა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველმა კ. ვ. გოგიჩაიშვილმა.

თათბირზე გამოვიდნენ კალინინგრადის სამონტაჟო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. პ. აგაპეევი, ბაქოს სამონტაჟო სამმართველოს ზეინკალი ვ. ვ. აბასოვი, „მოლდმრეწვმონტაჟის“ ტრესტის ტირასპოლის სამმართველოს ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადირი ი. ა. ვდოვიკოვი, „ქიმმრეწვმშენის“ სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. ა. ნადირაძე, „საქმქანმონტაჟის“ სამმართველოს ზეინკალთა ბრიგადირი ბ. ი. პშენიჩნი და სხვები, რომლებმაც ქმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მშენებლობის ინტერნაციონალური კოლექტივის ყველა წევრი ჭეშმარიტი თავდადებით და შთაგონებით მუშაობს, კარგად ესმის, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საეკსპლოატაციოდ საწარმოს ახალი სიმძლავრეთა დროულ გადაცემას. ამ ობიექტების ამოქმედების შემდეგ ხომ ერთიორად და მეტად გაიზრდება მინერალური სასუქების წარმოება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში.

მასების დიდი ენთუზიაზმი, შრომითი შემართება, ხაზგასმით აღინიშნეს თათბირზე, იმ დიდი უურადღებისა და დახმარების შედეგია, რომელსაც უწევენ მშენებლობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა, ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოები. მშენებლობაზე კარგი პირობებია შექმნილი ნაყოფიერი შრომისა და დასვენებისათვის. შესანიშნავად არის ორგანიზებული სასადილოების მუშაობა, კერძებს ჩინებული მზარეულები ამზადებენ. მუშაობისგან თავისუფალ დროს მშენებლები შინაარსიანად ატარებენ. მათთვის ეწყობა ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები, ისინი ეცნობიან რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, რომელმაც გულთბილად მიულოცა დამსწრეთ დიდი ოქტომბრის მომავალი დღესასწაული. მან მაღალი შეფასება მისცა მშენებელთა და მემონტაჟეთა შრომითს საქმიანობას და რწმენა გამოთქვა, რომ ისინი ღირსეულად გადაწყვეტენ მათ წინაშე მდგომ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს.

(საქინფორმი).



ახალი დოკუმენტი ვ. ი. ლენინის შესახებ

კრაკოვის საქალაქო არქივში აღმოჩნდა ახალი დოკუმენტი, რომელიც პოლონეთში ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება. ეს არის პოლიტიკურ პატიმართა დახმარების იმ კავშირის წევრთა სია, რომელშიც შედიოდნენ ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია.

დოკუმენტი შეიმატება ექსპოზიციას „ლენინი და პოლონეთის მუშათა მოძრაობა“, რომელიც მოეწყობა კრაკოვის დედოფალ იადვიგას ქუჩაზე (ყოფილი ზეციონეცკაიას ქუჩა) № 41 სახლში. აქ 1912 წლის 4 ივლისიდან 1 სექტემბრამდე ცხოვრობდნენ ვლადიმერ ილიას ძე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული. ახლა გადაწყვეტილია სახლი გადაქცეთ მუზეუმად. კრაკოვისა და სხვა ქალაქების რესტავრატორებმა იმუშავეს იმისათვის, რომ სახლი თავდაპირველი სახით აღედგინათ. მათ დაეხმარნენ კოლექციონერებიც, სახლ-მუზეუმს საჩუქრად გადასცეს იმ წლების ავეჯი, საოჯახო ნივთები.

სათუთად, უძვირფასეს რელიკვიასავით ინახავს პოლონელი ხალხი ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებს.

ვარშავა. (საკდესის კორ.).

ვიზიტი დამთავრდა

ერევანი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი დღეს ერევნიდან სამშობლოში გაიმგზავრა.

იგი ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო სსრ კავშირში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

მაგულობს ხელფასი

ნოემბერ-დეკემბერში ხელფასი მოემატება საბალხო მეურნეობაში დასაქმებულ ასი ათასობით მუშასა და მოსამსახურეს. ეს ეხება განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და თეატრალურ-სანახაობითი ორგანიზაციების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკების, იმათ გარდა, ვისაც წინათ მოემატათ გაანგარიშებები და სგრეები. გარდა ამისა, შრომის ანაზღაურების ახალი პირობები იქნება შემოღებული სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციებში, გამოთვლითს ცენტრებში, სახელმწიფო მარაგის ორგანოებში, სასამართლოსა და პროკურატურაში, საკრედიტო დაწესებულებებსა და სახელმწიფო დაზღვევის ორგანიზაციებში.

ეს ითქვა 18 ოქტომბერს თბილისში გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც მიეძღვნა სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასვლის საკითხს.

თათბირს ესწრებოდნენ სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები. თათბირმა ამოცანად დაისახა განესაზღვრა შრომის ანაზღაურების ახალი პირობებზე გადასვლის გზები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ჩხეიძემ.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. გავრილოვმა დაწვრილებითი ინფორმაცია გააკეთა სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შესახებ.

შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებასთან დაკავშირებით პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანებზე ილაპარაკა საკავშირო პროფსაბჭოს განყოფილების გამგემ ვ. შურუევმა.

თათბირზე აღინიშნა, რომ სკკპ XXV ყრილობაზე მიღებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ძირითადი შინაარსია საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში ნათქვამია: „მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა თანამიმდევრულად განვახორციელოთ კომუნისტური პარტიის კურსი, რათა საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარების და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობისა ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესების საფუძველზე ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე“.

რეალური შემოსავლის გაზრდის ღონისძიებათა განხორციელებისას თავიანთ ყურადღება ეთმობა იმას, რომ გაძლიერდეს შრომის მიხედვით ანაზღაურების მასტიმულირებელი როლი და თითოეული მუშაკის შემოსავლის დამოკიდებულება საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში, მისი ეფექტიანობის ზრდაში მის პირად შრომითს წვლილსა და კოლექტივის წვლილზე.

ხელფასის მომატება მეათე ხუთწლედის უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებაა, რომელმაც უნდა გადაჭრას სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის მქონე არასაწარმოო დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების გაუმჯობესების ამოცანა. ამ ღონისძიების ეკონომიკური ეფექტიანობა და სოციალური შედეგები ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად მოაწყობენ მას სამინისტროები და უწყებები, რა ორგანიზატორულ და განმარტებითს მუშაობას გასწევენ სამეურნეო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ეს სამუშაო ძალზე რთული და პასუხსაგებია. ამისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების მოქმედების ერთიანობა.

პარტია და მთავრობა დიდად ზრუნავენ არასაწარმოო სფეროს მუშაკებისათვის. ამ ზრუნვის საუკეთესო დაფასება იქნება შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასვლის მაღალ დონეზე მოწყობა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჭითანავა.

(საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

სიტყვითაც, საქმითაც

წელს კარგი ინიციატივა გამოიჩინეს მეურნეობის მუშამოსამსახურეებმა — გადაწყვიტეს მეცხოველეობის ფერმისთვის საჭირო სამყოფი სილოსი თვითონვე დამზადებინათ. იმ დღეს მოსამსახურეებმა ვ. სოსელიამ, ზ. კაკუბავამ, ჯ. ხასაიამ, გ. შენგელიამ, ი. და ზ. ანთიებმა, გ. ეზვაიამ, ა. ლემონჯავამ, ნ. ჭაკავამ, ა. ფარულავამ, ა. დგებიამ და სხვებმა ბოლო მანქანიდან სიმინდის მასა გადმოტვირთეს, სილოსის საჭრელ აგრეგატს მიაწოდეს და ვეებერთელა, სამასტონიან ორმოში სილოსის სატკეპნად ტრაქტორი მიუშვეს. დაპირება პრაქტიკულ საქმედ იქცა — დამზადდა გათვალისწინებული რაოდენობის სილოსი. საღამოსთვის კი აგროგანყოფილების პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება იყო დანიშნული...

გალის რაიონის ხუმუშქურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა ჩაის კრეფის სახელმწიფო გეგმა შეასრულეს, სიმინდსაც კარგად მოუარეს და შედეგითაც გაიხარეს — საგეგმო 22 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 40-45 ცენტნერის მიღებას ვარაუდობენ. მიღწევები აქვთ მათ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებაშიც — ხორცისა და რძის დამზადების 9 თვის გეგმა 8 თვეში გადაჭარბებით შეასრულეს.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, აღინიშნა მეექვსე აგროგანყოფილების პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. აქ ითქვა, რომ საერთო წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს მეურნეობის მეექვსე აგროგანყოფილების მშრომელებმა, ხაზი გაესვა იმ ფაქტსაც, რომ დღითი დღე იზრდება კომუნისტთა ზეგავლენა მთელს კოლექტივზე, იგრძნობა მათი დადებითი მაგალითის ძალა.

როგორც საანგარიშო მოხსენებამ, ისე მოკამათეთა გამოსვლებმა დაადასტურა, რომ აგროგანყოფილების კომუნისტებმა კარგად იციან, რა პასუხსაგები ამოცანები დგას თითოეული მათგანის წინაშე. ხუთწლედის მეოთხე წელს, იციან რომ თითოეული დღე აახლოებს სამეურნეო წლის ფინიშს, რომ ახლა მარცხიც და წარმატებაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

აგროგანყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ჯ. სილაგაძემ საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ პარტიული კრებების მომზადებაში თითქმის ყველა კომუნისტი მონაწილეობდა, უმრავლესობა საკითხთა შორის იხილავდნენ ყველაზე უფრო აქტუალურსა და საჭირბოროტოს, საკითხებს აშუქებდნენ ყოველმხრივ და მხოლოდ წინასწარი ფიქრისა და კომუნისტთა კოლექტიური აზრის გათვალისწინების შემდეგ იღებდნენ დადგენილებას, რომლის შესრულებას მკაცრი კონტროლი ეწეოდა.

აგროგანყოფილებისათვის ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს საანგარიშო პერიოდში პარტორგანიზაციის კომუნისტებმა. მაგალითად: ამ გაზაფხულზე ჩაის კრეფის სეზონისათვის მზადების დროს სერიოზული ნაკლოვანებანი გამოვლინდა: მე-18 ბრიგადაში საპლანტაციო გზები მოუწყობელი იყო, საჩრდილობელ ფარდულებს შეკეთება, ბრიგადას კი მუშახელით დაკომპლექტება სჭირდებოდა. პარტიულმა კრებამ ოპერატიულად განხილა ეს საკითხი, ღონისძიებანიც დასახა და საქმეც გამოსწორდა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჩაის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობის გადიდების პრობლემას, აქ არსებულ რეზერვებს, მათი ამოქმედების გზებს. კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო როგორც მოხსენება, ისე კამათი. კომუნისტებმა ვ. სოსელიამ, შ. შენგელიამ, მეურნეობის დირექტორმა გ. შერვაშიძემ, პარტიული კომიტეტის მდივანმა ხ. სალაყაიამ, გულახდილად თქვეს თავიანთ საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. აღინიშნა, რომ სერიოზული ხარვეზებია მშრომელთა შორის იდეოლოგიურ, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება მე-16 საწარმოო ბრიგადას (ბრიგადირი ა. ზუხბაია), სადაც იშვიათად ეწყობა საუბრები, პოლიტინფორმაციები, კინოტიკუნტად გამოდის საკედ. ფურცლები და სხვ. მათ ისიც თქვეს, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას.

კრებაზე გულისწყრომით ითქვა, რომ სოფელში ჩაშლილია კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, კინოსურათები, სხვადასხვა ღონისძიებები აქ უცხო ხილია. ამის ერთ-ერთი, მაგრამ მთავარი მიზეზი კლუბის უქონლობაა. უკვე რამდენიმე წელია სასოფლო კლუბის ძველი შენობა აიღეს, ახალი კლუბის ასაშენებლად თანხები გამოიყო, პროექტიც შედგა და მშენებლობაც დაიწყო. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეშვიდე სამშენებლო ტრესტის № 11 მოძრავ-მექანიზებულ კოლონას ახალი კლუბი ჯერ კიდევ შარშან უნდა გადაეცა საექსპლოატაციოდ, მაგრამ სამუშაროდ, ჯერ პირველი სართულის კედელიც არ არის ამოყვანილი, ეტყობა, ტრესტის მმართველს გ. ჯაბავას და მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსს ი. ცაცავას საერთოდ დაავიწყდათ ამ მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა. აბა, სხვას რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ უკვე მეორე წელია ისინი აქ ალარ გამოჩენილან.

საყვედური გამოითქვა მეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციის მიმართაც, რომელიც სათანადო ყურადღებას არ აქცევს მშრომელთა კულტურულ დასვენებას. ხუმუშქურელებს არც კი ახსოვთ, როდის მოეწყო კოლექტიური ექსკურსია. ასევე იშვიათად ეწყობა მხატვრული, სპორტული და სხვა მასობრივი ღონისძიებები.

კომუნისტებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ საჭიროა დაინერგოს მშრომელთა მატერიალური და მორალური წახალისების პროგრესული ფორმები და მეთოდები. თუმცა ასეთი ღონისძიებები ხორციელდება, მაგრამ უფრო ხშირად მათ ეპიზოდური ხასიათი აქვთ.

აგროგანყოფილების კომუნისტებმა პარტიული ორგანიზაციის მდივნად მოწონივე მექანიზატორი ჯ. შონია აირჩიეს. ახლა მოსავრია ინიციატივიანი, მონდომებული მუშაობა, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე შედგენილი კომუნისტთა გაბაწუნი კარგ კონკრეტულ საქმეებად იქცეს.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ფოტო-ინფორმაცია

დოდო კვერეხაძემ სამი წლის წინათ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მებოსტნის პროფესია აირჩია. სპეციალისტები, თანაბრიგადელები დაეხმარნენ ქალიშვილს მოკლე ვადაში აეთვისებინა შრომის მოწინავე ხერხები.

მიმდინარე სეზონში დოდო კვერეხაძემ უკვე აიღო ხუთ ტონაზე მეტი ბოსტნეულის მოსავალი.

ახლა ვანის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარეობს მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი კულტურის — ხახვის მასობრივი ამოღება. საბჭოთა მეურნეობა სახელმწიფოს მიჰყიდის 2.900 ტონა ბოსტნეულს, აქედან 1.300 ტონა ხახვს.

მოსავლის აღებისას გამოირჩევა ახალგაზრდა მებოსტნე დოდო კვერეხაძე, რომელიც ამ ფოტოსურათზეა აღბეჭდილი.

მ. ბერსამიას ფოტო.

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო მეცნიერთა ინსტიტუტის ამიერკავკასიის ქობულეთის ზონალურ სადგურში ნაყოფიერად მუშაობენ ახალი პრეპარატებისა და გამაგრილებელი სასმელების მისაღებად.

სურათზე (მარჯვნიდან მარცხნივ): ფარმაცევტიკის მეცნიერებათა კანდიდატი ემილია იაროში, უმცროსი მეცნიერი მუშაკი ნელი ქათამაძე და ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი აკაკი ნაკაიძე განსაზღვრავენ ხემაგარას ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს.

ნ. ანასტასიევის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



„კომუნისტი“ ეძიებს ამჩაერვებს

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობა ალმაღლობის გზაზეა. ისტორიის კუთვნილება გახდა ამ დარგის მრავალი შინა და ნახევრად შინამრეწველური საწარმო. ხელის შრომა უნივერსალურმა და პროგრამულმა ჩარხებმა, ავტომატურმა ხაზებმა და კონვეიერებმა, დიდ მწარმოებლურმა საწყებებმა და ტრანსპორტიორებმა შეცვალეს. მკვეთრად გაიზარდა და დაიხვეწა აქ მომუშავეთა ოსტატობა. მათ მიერ შექმნილი ზოგიერთი სახეობის პროდუქცია ახლა მთლიანად შეესაბამება საბჭოური წარმოების საუკეთესო ნიმუშებს. ამ წარმატებაში კი წამყვანი როლი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვასთან ერთად კადრების სწორად შერჩევამ და განაწილებამაც შეასრულა.

რასაკვირველია, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები თავიანთი მასშტაბურობითა და ტექნიკური აღჭურვილობით ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩებიან საკავშირო დაქვემდებარების ქარხნებს, ფაბრიკებსა და კომბინატებს, მაგრამ წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ადრე თუ გვიან წონასწორობა აღდგება. უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში დარგის ბევრმა საწარმომ იმდენი რამ გააკეთა, რამდენიც წინა ათეული წლების მანძილზე არ გაუკეთებია.

ბოლო ხანს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქ. წყალტუბოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანების კოლექტივის საქმიანობა.

უპირველესად აღვნიშნავთ, რომ გაერთიანება ძირითადად ადგილობრივი მატერიალური რესურსების ბაზაზე ჩამოყალიბდა. ეს კი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ საკუთარ მასალებზე მომუშავე საწარმოს პროდუქცია ყოველთვის რენტაბელურია და ხელსაყრელიც.

დიახ, თავის დროზე ამ ფაქტორმა ხელი შეუწყო დარგის ფეხზე დადგომას, მაგრამ დღეს მარტო საკუთარი ნედლეულით შორს ვერ წახვალ. იმიტომ კი არა, რომ აქ გამოილია, მაგალითად, სოფელ გვიშტიბის ტუფისმაგვარი ბუნებრივი ქვა, ანდა გრანიტის ფილების დამზადების შესაძლებლობა ამოიწურა, პირიქით, მათი მოპოვება და დამუშავება მიმდინარე ხუთწლედის განვლილ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა, საქმე ის არის, რომ დრომ უკარნახა წყალტუბოელებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ მრავალფეროვანი ასორტიმენტის ფართო მოხმარების და კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების დამზადებისათვის. ახლა გაერთიანება მომხმარებელს სთავაზობს მზა სრეხილ ზეთოვან და მშრალ წებოვან საღებავებს, ოლიფას, ალაცტშვმავსებელს, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილებს, საფეიქრო და ტყავგალანტერიის ნაწარმს, პლუშს ხალიჩებს, საოჯახო ხელჩანთებს, თუნუქის ქილებს მზა საღებავისათვის, მშრალი თუთიის მათეთრას, გრანიტისა და მოზაიკის მოსაპირკეთებელ ფილებს, თოთხმეტი დასახელების ბრონლის ნაწარმს და მრავალ სხვა.

დიდი მოთხოვნაა გაერთიანების მიერ დამზადებულ სამშენებლო საკედლე მასალებზე. აქედან საკედლე ბლოკებს წელიწადში 19 მილიონამდე ადგილობრივ ნედლეულზე 30 ათას კუბურმეტრ ბუნებრივი ქვის ფვრილ საკედლე ბლოკს უშვებენ. სოფელ გვიშტიბში მოპოვებული და გადამუშავებული ქვისაგან აგებულმა შენობებმა კიდევ უფრო დაამშვენა კოპწია ქალაქ-კურორტი წყალტუბო. საგულისხმოა, რომ მარტო მიმდინარე ხუთწლედის სამ წელიწადში აგურის წარმოების ზრდის ტემპმა 90 პროცენტს მიაღწია. ამ ხნის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება 40, ხოლო ფონდუკუგება 67 პროცენტით გაიზარდა. სულ მოკლე ხანში ეს მაჩვენებლები კვლავ მნიშვნელოვნად ამაღლდება. საერთოდ კი, ხუთწლედის განვლილ დროში, გაერთიანებამ 23,6 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა და ამით წარმოების მოცულობა მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის 70 პროცენტით გაზარდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ აქ წლების განმავლობაში არც ერთი რეკლამაცია არ მიუღიათ.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ წყალტუბოელთა ნახელავი მთლიანად შეესაბამება მზარდ მოთხოვნებს, ხომ არის შემთხვევები, როცა მომხმარებელმა ოღონდ იშოვოს სასურველი საქონელი და ხარისხს აღარ დაგიდევთ? როგორ არა, არის. არის, და ამიტომაც წყალტუბოელებიც მუდამ ახლის ძიებაში არიან, შეუნელებლად იბრძვიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამას, წინათ, მაგალითად, სამკერვალო ფაბრიკაში მთლიანად მოიხსნა წარმოებიდან მოძველებული მოდელების ტანსაცმლის დამზადება და მის ნაცვლად მოდური პროდუქციის გამოშვება აითვისეს. 70 პროცენტით განახლდა აგრეთვე ბროლის ქარხნის პროდუქციის ასორტიმენტი. ბროლის ქარხანაში გაერთიანების საწარმოთა შორის პირველად დაინერგა ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა. აშკარად გაერთიანების წარმოების საერთო მოცულობაში სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითმა წილმა 25 პროცენტს მიაღწია. ეს კი ბევრისმთქმელი მაჩვენებელია.

აღსანიშნავია, რომ მეცხრე ხუთწლედის პირველი წლიდან დღემდე გაერთიანების წარმოების მდგომარეობა გაორკეცდა და ახლა მისი წილი წყალტუბოს ზონის მთლიან მრეწველობაში 28 პროცენტს შეადგენს.

— ჩვენ, — ამბობს გაერთიანების მთავარი ინჟინერი ო. გვიშიანი, — გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვას. დღეს სხვანაირად ვერაფერს გახდები. ამაზე მიუთითებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ეკონომიკის გაუმჯობესების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“. ამიტომ ვაყალიბებ ინჟინერ-ტექნიკურ საბჭოს, ვენერგავ ინჟინერ-ტექნიკურ ბიუროებ

საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს სსრ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის — ცეკავშირის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საქართველოს სსრ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის:

არგუნს ალექსი ალექსის ძეს — აფხაზეთის სსრ გულრიფშის სამომხმარებლო საზოგადოების № 3 მაღაზიის გამგეს, **ბერიას** ალექსის ძეს — აფხაზეთის სსრ გულრიფშის სამომხმარებლო საზოგადოების № 2 მაღაზიის გამგეს, **ბინიაშვილს** მიხეილ რახამის ძეს — თელავის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების სამეურნეო მაღაზიის გამგეს, **ბოქოლიშვილს** ალიოზ ვასილის ასულს — ცეკავშირის საფინანსო სამმართველოს საფინანსო განყოფილების ეკონომისტს, **გალდავას** ანნა მელეტონის ასულს — გეკავშირის რაიონული სამომხმარებლო კავშირის უნივერმაღის ბუღალტერს, **ეკიმოვს** ალექსანდრეს ძეს — ლაგოდეხის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების სოფელ ველისცვარის მაღაზიის გამგეს, **ზაქარაიას** ალექსანდრეს ძეს — ბორჯომის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების № 17 სასურსათო მაღაზიის გამგეს, **ზაზაშვილს** ალექსანდრეს ძეს — ბორჯომის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების № 2 მაღაზიის გამგეს, **ბინიაშვილს** მიხეილ რახამის ძეს — თელავის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების სამეურნეო მაღაზიის გამგეს, **ბოქოლიშვილს** ალიოზ ვასილის ასულს — ცეკავშირის საფინანსო სამმართველოს საფინანსო განყოფილების ეკონომისტს, **გალდავას** ანნა მელეტონის ასულს — გეკავშირის რაიონული სამომხმარებლო კავშირის უნივერმაღის ბუღალტერს, **ეკიმოვს** ალექსანდრეს ძეს — ლაგოდეხის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების სოფელ ველისცვარის მაღაზიის გამგეს, **ზაქარაიას** ალექსანდრეს ძეს — ბორჯომის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების № 17 სასურსათო მაღაზიის გამგეს, **კოხოძეს** მიტუშა ვასილის ძეს — მაიაკოვსკის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების სოფელ დმანის სამეურნეო საქონლის მაღაზიის გამგე-გამყიდველს, **მაისურაძეს** ლუბა ანთიმოზის ასულს — ქარელის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების ბაღრატიონ-ყარაულის ბაზის უფროსს, **ოქროპირიძეს** ბორის ბესიკის ძეს — ბორჯომის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების № 2 სასურსათო მაღაზიის გამგეს, **ფანასკერტელოვს** ალექსანდრეს ძეს — ბორჯომის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების № 17 სასურსათო მაღაზიის გამგეს, **ფეფინაშვილს** ალექსანდრეს ძეს — ბორჯომის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების № 2

ჩვენი პატარები

დაე, მუდამ იყოს მზე!

საქართველოს პროფკავშირების კულტურის სასახლეში გაიხსნა მხატვრული ფოტოგრაფიის სპეციალური გამოფენა მიძღვნილი ბავშვის საერთაშორისო წლისადმი.

გამოფენის ორგანიზატორია საქართველოს რესპუბლიკური ფოტოკლუბი „საქართველო“. გამოფენაზე წარმოდგენილია 35 ავტორის ნამუშევარი, რომლებშიც ფოტოხელოვნების ლაკონური ენით მოთხრობილია საბჭოთა ბავშვების მრავალფეროვან და ბედნიერ ცხოვრებაზე.

გამოფენის მონაწილე ავტორთა უმეტესობა ფოტომოყვარულია. ისინი სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები არიან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შვიდი ფოტომოყვარული ქალი, რომელთაც წარმოადგინეს მთელი წყება მეტად საინტერესო საბავშვო ფოტოებისა, ესენია მარინა მარსაგიშვილი, ნათელა სარდლიშვილი, ნანა ანასტასიანი, თამარ ნუცუბიძე, მარგარიტა შენგელია, ლუდმილა ტიშჩენკო, ციალა გაჩეჩილაძე.

გამოფენა „ბავშვთა სამყაროში“ ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება, შემდეგ კი გაიგზავნება დიდ საერთაშორისო გამოფენაზე „ბავშვები ჩვენი მომავალია“, რომელიც შედგება ქალაქ რიგაში.

სურათებზე: (მარცხნიდან) „ნათელი ზეცა“, „ჭადრაკის დაფებთან“, „ანცი“.

ლ. ტიშჩენკოს, თ. ქიქავას და ნ. სარდლიშვილის ფოტო.

თბილისი — ფესტივალის დედაქალაქი

ახალგაზრდობაზე და ახალგაზრდობისათვის

ათი დღით თბილისი ახალგაზრდული სცენური ხელოვნების თავისებური დედაქალაქი გახდება. 28 ოქტომბრამდე იქ ეწყობა ახალგაზრდული თეატრებისა და სპექტაკლების ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობს საქართველოს ოცზე მეტი პროფესიული სახალხო თეატრი, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების შემოქმედებითი კოლექტივები.

ფესტივალის აფიშაშია სპექტაკლები ქართველი, რუსი და საზღვარგარეთელი კლასიკოსების, თანამედროვე დრამატურგების ნაწარმოებების მიხედვით. დათვალიერების პირობები არ ზღუდავს კოლექტივებს თემის არჩევაში, მაგრამ მთავარი გმირი უნდა იყოს ჩვენი თანამედროვე, ღირსეული მემკვიდრე თაობისა, რომელიც იბრძოდა ოქტომბრის ბარიკადებზე, და შემდეგ მისი მონაპოვარი დაიცვა ფაშიზმთან ბრძოლაში.

ფესტივალის შედეგებს შეაჯამებს ჟიური.

საუკეთესო სპექტაკლისათვის დაწესებულია ერთი მთავარი და ორი სპეციალური პრიზი, აგრეთვე სპეციალური პრიზები საუკეთესო რეჟისურისათვის, მამაკაცისა და ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის და საუკეთესო სცენოგრაფიისათვის.

— ახალგაზრდული თეატრალური ხელოვნების ასეთი დათვალიერება ჩვენს რესპუბლიკაში პირველად ეწყობა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს კულტურის სამინისტროს თეატრების განყოფილების უფროსმა ა. შალუტაშვილმა, — ეს არის ჩვენი პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“, რომელიც ახალგაზრდებს საკმაოდ ფართო ჰორიზონტს უსახავს. ფესტივალის მიზანია ხელი შეუწყოს შემოქმედებითი ინდივიდუალობების ჩამოყალიბებას, შეისწავლოს ახალგაზრდობის პრობლემები და საჭიროებანი, წარმართოს ტალანტების განვითარება პერსპექტიული გზით. ყველას, ვინც ხელოვნებაში მოვიდა, სურს თქვას თავისი სიტყვა, დატოვოს თავისი კვალი. დათვალიერება დიდ სტიმულს მისცემს ახალგაზრდა მსახიობებს, ჩაუნერგავს მათ თავისებური ძალების რწმენას, დაეხმარება საკუთარი თავის გამოვლენაში. ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობა გაბედულად მიდის ძიებისა და აღმოჩენების გზით. მის ხელთ არის სცენური ხელოვნების მომავალი. მაგრამ არის ერთი ჭეშმარიტება, რომელიც მან სამუდამოდ უნდა დაიმახსოვროს. იგი თავის დროზე გენიალურად კონსტანტინე სტანისლავსკიმ: „არსად და არასოდეს კაცობრიობის ისტორიაში სიცრუეზე დაფუძნებულ ხელოვნების ნაწარმოებს არ უცოცხლია თავის ავტორზე მეტ ხანს...“

□

ბორის აგუხგაიას სახელოგნისა

ასე ჰქვია ერთ-ერთ ქუჩას ბელორუსიის ვიტებსკის ოლქის სოფელ იუროვიჩში. აქ 1944 წელს გმირულად დაიღუპა ქალაქ გალის მკვიდრი ბორის აბუხბაია. ომამდე იგი აგრონომად მუშაობდა. ომის დაწყებისთანავე წავიდა მოქმედ არმიაში. მსახურობდა ქვეით ჯარში, ჰქონდა რამდენიმე საბრძოლო ჯილდო.

ბ. აბუხბაიას სახელს წმინდად ინახავენ მის მშობლიურ ქალაქშიც: ერთ-ერთ ქუჩას აქაც ისა სახელი ჰქვია. აქედან — გმირის ოჯახიდან, სკოლიდან, სადაც იგი სწავლობდა, ბელორუსიაში მიდის წერილები და ვსვამს სოფელ იუროვიჩში ნორჩ კვალისმაძიებელთა მიერ შექმნილ სასკოლო მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

თბილისი — ფესტივალის დედაქალაქი

ახალგაზრდობაზე და ახალგაზრდობისათვის

ათი დღით თბილისი ახალგაზრდული სცენური ხელოვნების თავისებური დედაქალაქი გახდება. 28 ოქტომბრამდე იქ ეწყობა ახალგაზრდული თეატრებისა და სპექტაკლების ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობს საქართველოს ოცზე მეტი პროფესიული სახალხო თეატრი, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების შემოქმედებითი კოლექტივები.

ფესტივალის აფიშაშია სპექტაკლები ქართველი, რუსი და საზღვარგარეთელი კლასიკოსების, თანამედროვე დრამატურგების ნაწარმოებების მიხედვით. დათვალიერების პირობები არ ზღუდავს კოლექტივებს თემის არჩევაში, მაგრამ მთავარი გმირი უნდა იყოს ჩვენი თანამედროვე, ღირსეული მემკვიდრე თაობისა, რომელიც იბრძოდა ოქტომბრის ბარიკადებზე, და შემდეგ მისი მონაპოვარი დაიცვა ფაშიზმთან ბრძოლაში.

ფესტივალის შედეგებს შეაჯამებს ჟიური.

საუკეთესო სპექტაკლისათვის დაწესებულია ერთი მთავარი და ორი სპეციალური პრიზი, აგრეთვე სპეციალური პრიზები საუკეთესო რეჟისურისათვის, მამაკაცისა და ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის და საუკეთესო სცენოგრაფიისათვის.

— ახალგაზრდული თეატრალური ხელოვნების ასეთი დათვალიერება ჩვენს რესპუბლიკაში პირველად ეწყობა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს კულტურის სამინისტროს თეატრების განყოფილების უფროსმა ა. შალუტაშვილმა, — ეს არის ჩვენი პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“, რომელიც ახალგაზრდებს საკმაოდ ფართო ჰორიზონტს უსახავს. ფესტივალის მიზანია ხელი შეუწყოს შემოქმედებითი ინდივიდუალობების ჩამოყალიბებას, შეისწავლოს ახალგაზრდობის პრობლემები და საჭიროებანი, წარმართოს ტალანტების განვითარება პერსპექტიული გზით. ყველას, ვინც ხელოვნებაში მოვიდა, სურს თქვას თავისი სიტყვა, დატოვოს თავისი კვალი. დათვალიერება დიდ სტიმულს მისცემს ახალგაზრდა მსახიობებს, ჩაუნერგავს მათ თავისებური ძალების რწმენას, დაეხმარება საკუთარი თავის გამოვლენაში. ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობა გაბედულად მიდის ძიებისა და აღმოჩენების გზით. მის ხელთ არის სცენური ხელოვნების მომავალი. მაგრამ არის ერთი ჭეშმარიტება, რომელიც მან სამუდამოდ უნდა დაიმახსოვროს. იგი თავის დროზე ბრწყინვალედ კონსტანტინე სტანისლავსკიმ: „არსად და არასოდეს კაცობრიობის ისტორიაში სიცრუეზე დაფუძნებულ ხელოვნების ნაწარმოებს არ უცოცხლია თავის ავტორზე მეტ ხანს...“

□

ბორის აგუხგაიას სახელოგნისა

მთაში — გედაურებით

სოხუმი. ახალი, საცხენოსნო მარშრუტი გაჩნდა აფხაზეთის ტურისტულ რუკაზე. ცხენებით თვრამეტდღიანი ლაშქრობა დროს ტურისტები დატკბებიან არა მარტო მთის, არამედ ლურჯი ზღვის სილამაზითაც.

მარშრუტი სოხუმის ტურბაზაში იწყება. შემდეგ ოჩამჩირის სოფელ ოტაფში, ცნობილი სტალაქტიტების მღვიმის მახლობლად, ტურისტები კარვებს გაშლიან. აქ გამოცდილი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით ისინი ცხენოსნობის ჩვევებს შეიძენენ. შემდეგ მარშრუტი გადის ანაის უღელტეხილზე ზღვის დონიდან 2.000 მეტრ სიმაღლეზე.

მარტო მიმდინარე წელს ახალი მარშრუტით „გაჯერითებს“ 400 კაცი. მარშრუტი წელიწადში თითქმის შვიდ თვეს იმოქმედებს.

დაწყაჟაულის კვალდაკვალ

ერამი ლუკმა

სიგნალს ოპერატიულად გამოეხმაურნენ

ალმაზოთოეველი. სიგნალი მოვიდა ტყიბულის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში. მისი ავტორები ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის პიონერთა ბანაკის კვების ქსელში შექმნილ უწესრიგობას, პროდუქტების დატაცებებანაივებას ატყობინებდნენ.

დაყოვნება, დროის დაკარგვა დანაშაულის ხელის შეწყობას ნიშნავდა. საჭირო იყო მოქმედება. განყოფილების უფროსის ა. მშედლიძის მითითებით კვალიფიციური რეგიზორებისაგან დაკომპლექტდა ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი გ. გოკირიძე ჩაუდგა სათაოეში.

პირველად კვების პროდუქტების ხარჯვის საქმე შემოწმდა. ჯგუფის წევრების თვალწინ თავდადგმე მეტად საეჭვოო სურათი გადაიშალა. ბანაკის საწყობის გამგის მ. მურუსიძეს აღწერისას ზედმეტი პროდუქტი აღმოაჩნდა, რომლის საერთო ღირებულებამ 866 მანეთი და 93 კაპიკი შეადგინა. ისიც აღსანიშნავია, რომ სპეციალურმა ბარათმა, რომლითაც შოკოლადის აღრიცხვა ხდება, ამხილა ამ მაქინატორის ხრიკები. მარტო ა. წ. 4 ივლისსა და 20 აგვისტოს ამ ბარათიდან 25-გრამიანი 655 ცალი შოკოლადი ჩამოწერეს როგორც ბანაკის ნორჩ მობინადრეებზე გაცემული, მაგრამ აღნიშნული რაოდენობის ნაწარმის არც ფაქტურა შეუდგენიათ და არც მენიუში შუტანიათ. ეტყობა, ამ ჯერად მარტო მ. მურუსიძეს 216 მანეთი ჩაუჯიბავს.

ბანაკის მესვეურები ხელფასის გაცემის უწყისში არც მკვდარი სულების შეყვანას მოერიდნენ. ბუღალტერმა ლ. ფოკინამ სამი თვის მანძილზე ოთხ მოქალაქეს — ვინმე თ. გაბრიაძეს, ზ. ოობაქიძეს, თ. ბოჭორიშვილს და ვ. ალბინინას მზრეველობისათვის ხელფასის სახით 915 მანეთი დაურიცხა, ხოლო მოლარემ აღნიშნული თანხა დაუფიქრებლად გასცა. და ეს მაშინ, როცა ამ პირებს ბანაკის ტერიტორიაზე არც კი გაუჭაჭანიათ.

რევიზორთა ყურადღება ბანაკის ტერიტორიაზე მდებარე ღორების სასუქმიღებლმა პუნქტმა მიიპყრო. იქ იმხანად 18 ღორი ჰყავდათ, რომლებსაც სამზარეულოს ნარჩენებით ჭამენ ბავშვებიდან. ეს საქმიანი და სასარგებლო ინიციატივა ყველამ მოიწონა, ეგონათ, პუნქტის მიერ წარმოებული ღორის ხორცი პიონერთა ბანაკის საქმის გაუმჯობესებას ხმარდებოდა. სინამდვილეში სულ სხვა გამოირკვა. თვრამეტი ღორიდან ათი ბანაკის გუშაგის ე. ბაბიკიანის პირადი საკუთრება იყო.

ბანაკში მოკალათებულ დამნაშავეთა საქმეს ახლა უკვე საგამოძიებო ორგანოები ირკვევენ. უნდა ვიფიქროთ, რომ მალე ყველაფერს ფარდას ახდიან და მზის სინათლეზე გამოიტანენ, არამი ლუკმა არავის შერჩება.

ვ. ცირკაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

რიო-დე-ჟანეიროდან — ალიკანტეზე

17 მოჰადრაკე ქალი, მათ შორის 6 დიდოსტატი, ებრძვა ბრძოლაში მსოფლიოს პირველობის საზონთშორისო ტურნირში, რომელიც ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში იწყება. ისინი, ისევე, როგორც რიო-დე-ჟანეიროს საზონთშორისო ტურნირის მონაწილეები, 3 საგზურისათვის იბრძოლებენ.

უპირველეს ყოვლისა, გავეცნოთ მონაწილეთა შემადგენლობას: დიდოსტატები ახმილოვსკაია, ფატალიბეკოვა, ლიტინსკაია (სამივე — საბჭოთა კავშირი), ვან დერ მიე (ჰოლანდია), ლემაჩკო (ბულგარეთი), ივანკა (უნგრეთი), საერთაშორისო ოსტატები რანიკუ, გურიელი (ორივე — საბჭოთა კავშირი), მარკოვიჩი, პროკოპოვიჩი (ორივე — იუგოსლავია), ბაუმშტარკი (რუმინეთი), სეგერაიდი (აშშ), შტერნბერგი (რუმინეთი), კელნერი (ავსტრალია), დე არმასი (კუბა), კარასკო დე ბუდინჩი (ჩილე) და ჩანლინ ფუნგი (სინგაპური).

ვინ მიიღებს მონაწილეობას საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში? ჩვენი აზრით, 6 დიდოსტატის გარდა, ესენი იქნებიან ნინო გურიელი და მაია რანიკუ.

ნინო გურიელი უკვე მეორე წელია უმაცდუმოდ „ურტყამს მიზანში“. მან პირველი ადგილები მოიპოვა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში, და, რაც მთავარია, დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ზონალურ შეჯიბრებაში. ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ნინო სტაბილურ, მაღალ შედეგებთან ერთად, მეტად აგრესიულად თამაშობს. იგი დიდი ენერგიით და სიამოვნებით ანვითარებს იერიშს, გულს არ იტეხს უარეს პოზიციებში, აქვს კომბინაციის მიგნების (და, რაც მთავარია, განხორციელების) შესანიშნავი ვრძნობა. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი მოჭადრაკის მაღალ საბრძოლო თვისებებს. ახლა გურიელი შესანიშნავად არის მომზადებული თეორიულად, იცის, რა, როგორ, რანაირად ითამაშოს თეორებთან ან შავებითაც. აქ მას უდავოდ დიდი ამაგი დასდო მწვრთნელმა, ოსტატმა იური ჩიქოვანმა. ესპანეთში ნინოს ახლავს სეკუნდანტი დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე, რომლის დიდი გამოცდილება და გადადებული პოზიციების გარჩევის დიდებული უნარი ძალზე უნდა გამოადგეს ახალგაზრდა მოჭადრაკეს.

მაია რანიკუ ფორმალურად დიდოსტატი არ არის, თორემ ისე, ტოლს არ უდებს ამ წოდების მატარებლებს. რანიკუ, უპირველეს ყოვლისა დიდი შეუპოვრობით გამოირჩევა და მაშინაც კი, როდესაც სხვა მოჭადრაკე ფარავს ალიკანტეზე

ფინიში მოახლოვდა

რიო-დე-ჟანეიროდან მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონთ შ ო რ ი ს ოლ ასპარეზობის მეთვრამეტე ტურის შემდეგ **ჰიუბნერს (გფრ) 11 ქულა (1 გადადებული პარტია) აქვს,** ტ. პეტროსიანს — 10,5, პორტიშს (უნგრეთი) — 10 (2), ტიმანს (ჰოლანდია) — 9 (2), საქსს (უნგრეთი) — 9 (1), ოვკოვს (იუგოსლავია) — 8 (3) ქულა.

ქალთა საზონთშორისო ასპარეზობაზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ნანა ალექსანდრიამ მოუგო. იაშერი ხადილკარს (ინდოეთი), გიზელა ფიშდიკმა (გფრ) — მილუნკა ლაზარევიჩს (იუგოსლავია), ხოლო ტატიანა ზატულოვსკაია დაუზადა ელისაბედ პოლერონიადეს.

უკანასკნელი ტურის წინ ნანა იოსელიანს 14 ქულა აქვს, ეუფა ვერეცის (უნგრეთი) — 11,5, ალექსანდრიას — 10,5, ვალენტინა კოზლოვსკაიას, ლაზარევიჩს და პოლერონიადეს — 9,5-9,5 ქულა.

ლიდერი შეიცვალა

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობის (უმაღლესი ლიგა) მეხუთე ტურში შეიცვალა ლიდერი. **ახლა გათამაშების ცხრილს სათავეში ჩაუდგა უბილავა, რომელმაც დაამარცხა ხანთაძე და 3,5 ქულა მოიგოო 4 თამაშიდან (ერთ ტურში უბილავა ისვენებდა).** მიქაძემ, რომელიც აქამდე 3 ქულით ლიდეროობდა, თანაბარ პოზიციაში გადადო პარტია ეფიმოვთან. ჩაჩიბაიამ მოუგო ჩახოიანს, გედევანშვილმა — ვეფხიშვილს, გრძელიშვილმა — ბაბახანოვს. ჩეჩელიანი და შიშოვი, სტურუა და აზმაიფარაშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

ქართველი მთამსვლელები პირველ ადგილზე

საქართველოს მთამსვლელთა ჯგუფის წევრებმა გივი ქართველიშვილის ხელმძღვანელობით პირველი ადგილი დაიკავეს მაღლივ ტექნიკურ კლასში დოქროს მეედლეთან დაჯილდოვდნენ სამხრეთ-დასავლეთ პამირზე ტაჯიკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პიკზე ასვლისათვის, რომლის სიმაღლეა 6183 მეტრი. გავლილია 1000 მეტრი. სიმაღლის ფრიალო კლდე. აქედან 350 მეტრი უარყოფითი დახრილობისაა.

ო. გიგინეიშვილი,

მთამსვლელთა საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს ფედერაციის თავმჯდომარე.



საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1980 წლისათვის დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

აგრონომია — ქართული და რუსული სექტორები. მათ შორის **აგრომელიორაცია** (სპეციალიზაცია) — ქართული სექტორი.

მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა — ქართული სექტორი.

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — ქართული და რუსული სექტორები.

სატყეო მეურნეობა — ქართული და რუსული სექტორები.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაცია — ქართული სექტორი.

საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში — ქართული სექტორი.

სასწავლებლად მიიღებიან საშუალო, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელდამთავრებული. პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირნი, რომელთა სამუშაო შეესაბამებოდა უმაღლესში ამორჩეულ სპეციალობას, თუ ისინი ამ სპეციალობით მუშაობენ არანაკლებ ექვსი თვისა, საშუალო სპეციალურ და საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელდამთავრებულნი, რომლებიც მონათესავე სპეციალობებზე შედიან, აგრეთვე თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურენი. ამასთანავე ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ ის პირნი, რომელთაც საწარმოები, კოლმეურნეობები, დაწესებულებები და ორგანიზაციები გზავნიან იმ სპეციალობაზე სასწავლებლად, რომელიც შეესაბამება შემსვლელის მუშაობის ხასიათს, და რომლებიც წარმოადგენენ ერთიანი ფორმის მომართვას (ფორმა № 8).

ინსტიტუტში შემსვლელნი მიღებენ გამოცდებს ამარებენ:

ა) **აგრონომიულ** (მათ შორის **აგრომელიორაციის სპეციალიზაცია), მეხილეობა-მებოსტნეობის და მევენახეობის სპეციალობაზე** — ბიოლოგია (ზეპირი)*, ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი).

ბ) **სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობაზე** — მათემატიკა (წერა), მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი).

გ) **სატყეო მეურნეობის სპეციალობაზე** — მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), ქიმია (ზეპირი).

დ) **სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის და საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობაზე** — მათემატიკა (წერა)*, ბიოლოგია (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი).

ინსტიტუტში ყველა შემსვლელი ამარებს წერითს გამოცდებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში — ქართულ სექტორზე და რუსულ ენასა და ლიტერატურაში — რუსულ სექტორზე თხზულების სახით.

აგრონომიულ (მათ შორის აგრომელიორაცია), სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, სატყეო მეურნეობის სპეციალობებზე, თანახმად საბჭოთა კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1979 წლის 18 ივლისის № 916 ბრძანებისა, საშუალო სკოლის მედალოსნები, აგრეთვე საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომელთაც მიღებული აქვთ წარჩინების დიპლომები, ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

მეხილეობა-მებოსტნეობის, მევენახეობის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის, სოფლის მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობებზე შემსვლელნი, რომელთაც საშუალო, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები დამთავრებული აქვთ მედალზე ან წარჩინების დიპლომით, გამოცდების აბარებენ მხოლოდ იმ ერთ საგანში, რომელიც დასახელებულ სპეციალობაზე აღნიშნულია ვარსკვლავით, ამ საგანში უმაღლესი („ხუთი“) შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი“ ან „სამი“ შეფასების მიღებისას აბარებენ გამოცდას ყველა შესაბამის საგანში. საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობაზე „ოთხის“ მიღების შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებენ ექსპერიმენტში.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, სატყეო-სამეურნეო, აგრონომიული (რუსული სექტორი) და საბუღალტრო აღრიცხვის (ქართული სექტორი) სპეციალობაზე მედალოსნებისა და წარჩინების დიპლომის მქონე აბიტურიენტთა ჩარიცხვის შემდეგ ორი საგნის ჩაბარებით ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებმაც საშუალო სკოლა, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები დაამთავრეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით, ატესტატში (დიპლომში) არა აქვთ „დამაკმაყოფილებელი“ ნიშანი, ატესტატის (დიპლომის) საშუალო ქულა დამრგვალების გარეშე 4,5-ზე მეტია და ისეთ სპეციალობებზე, როგორიც არის სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (რუსული) — მათემატიკა წერა, მათემატიკა ზეპირი; აგრონომიული (რუსული) — ბიოლოგია ზეპირი, ფიზიკა წერა; სატყეო (რუსული) — მათემატიკა წერა, ფიზიკა ზეპირი, გამოცდების ჩაბარების შემდეგ დააგროვებენ 8 და მეტ ქულას, ხოლო სოფლის მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობაზე მათემატიკა (წერა) და ბიოლოგია (ზეპირი) დააგროვებენ 9 და მეტ ქულას, ნაკლები ქულების დაგროვების შემთხვევაში განაგრძობენ გამოცდების ჩაბარებას ჩვეულებრივი წესით.

მისაღები გამოცდები მოეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ 1979 წლისათვის დამტკიცებულ პროგრამისა და მიღების წესების შესაბამისად. საკონკურსო შერჩევა იწარმოებს სპეციალობათა მიხედვით.

განცხადება მიღების შესახებ შემსვლელებს შემოაქვთ ინსტიტუტის რექტორის სახელზე ერთიანი ფორმით.

განცხადებას თან ერთვის:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დიპლომის დანართს.

2. დახასიათება, რომელსაც აძლევენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, წარმოება--დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები.

იმ პირებს, რომელთაც არა აქვთ პრაქტიკული მუშაობის ორი წლის სტაჟი, შეუძლიათ წარმოადგინონ დახასიათება, გაცემული იმ სკოლებისა და სხვა სასწავლებლების ხელმძღვანელთა მიერ, სადაც ისინი სწავლობდნენ.

3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელების მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ კალენდარული წლისათვის დაწესებული გამომუშავების მინიმუმის ჩვენებით; საბჭოთა მეურნეობის მუშები, აგრეთვე სხვა წარმოება-დაწესებულებათა მუშები, რომელთაც არა აქვთ მუდმივი ხელფასი, შრომის წიგნაკის ამონაწერის ნაცვლად წარმოადგენენ ცნობას, რომელშიც აღნიშნული იქნება მათი გამომუშავება თვეების მიხედვით და საშუალო გამომუშავება მიმდინარე წლისათვის.

იმ პირებს, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში საშუალო სკოლის დამთავრების მომდევნო წლებში შედიან, როგორც წესი, უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 6 თვის სტაჟი ყველა იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდნენ.

4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286).

5. ოთხი ფოტოსურათი უქუდოდ (3X4 სმ).

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ: პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედრო ვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირი).

განცხადება მიიღება 1979 წლის 15 დეკემბრამდე, ყოველდღე (გარდა კვირისა) 13-დან 18 საათამდე.

მისაღები გამოცდები მოეწყობა 1980 წლის იანვარში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ მიმდებ კომისიაში.

მისამართი: თბილისი, საქართველოს სამხედრო გზის შე-13 კმ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ტელ. 51-92-68. ავტობუსი №№ 27 და 54.

ტელევიზია

19 ოქტომბერი

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა, 10.05 — დოკუმენტური ფილმი, 10.35 — მეათვალსაყურებლათათვის — ფიზიკა (ფ.), 17.05 — ანბიგური-ენგმათათვის — ქიმია (ფ.), 17.40 — შეივისწავლოთ ფრანგული ენა (ფ.), 18.10 — ბავშვის საერთაშორისო წელი — მოკლემეგრაჟიანი მხატვრული ფილმები „პირველი გზა“, „ფერდინანდი და ოტელი“ (ფ.), 19.00 — „იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობისათვის“, 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „თვალთაი“ — სატელევიზიო ჟურნალი (ფ.), 20.55 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 21.15 — ბუნების კარი (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — კონცერტი.

მეორე პროგრამა: 15.35 — ბავშვებისათვის — გასართობი კინოპროგრამა, 16.35 — მუსიკალური ფილმი, 17.10 — მასწავლებლის საათი — გეომეტრია (ფ.), 18.00 — კინოჟურნალი, 18.20 — მოსწავლეთათვის ფიზიკა (ფ.), 18.50 — სატელევიზიო სპექტაკლი „ფილიონერი ქალი“ (მეორე ნაწილი, ფ.).

ოდისეა

19 ოქტომბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლაურენსია (ბ-6 ამონ. მე-6 წარმ.); **კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბუდე მეცხრე სართულზე;** მინიატიურების **სახელმწიფო — ეშმაკის კუდი;** **რუსთაველის სახელმწიფო დრამატული — ოკეანური;** **კონსერვატორიის დიდი დარბაზი — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმი.** **სიმფონიური და სიმღერადო მუსიკის კონცერტი.** კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — **ესპერანტო.**

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო, სატყეო, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო და გგრის სატყეო მეურნეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკკპ წევრი 1945 წლიდან, საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევე, გგრის სატყეო მეურნეობის ყოფილი დირექტორი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

ივანე დავითის ძე მატკავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მედიცინა და პრაქტიკა

კეთილმოწყალე მეცნიერება ტერატოლოგია

ტერატოლოგია (სიტყვასიტყვით ბერძნულიდან თარგმანში ნიშნავს ურჩხულების, მახინჯების შესწავლას) — ჯერ კიდევ დაბადებამდე ფიზიოლოგიური მიზეზებით განპირობებული ადამიანის სნეულებათა შემსწავლელი ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური მეცნიერება — გენეტიკოს მეცნიერთა კვლევის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ინფექციური, პარაზიტარული და ალერგიული დაავადებების პროფილაქტიკასა და მკურნალობაში ამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მოპოვებულ მნიშვნელოვან წარმატებებს, მემკვიდრეობითობის შემსწავლელი მეცნიერების პროგრესს და, ბოლოს, დიაგნოსტიკის წარმატებებს ის მოჰყვა, რომ ბავშვთა ავადობის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი დაიკავა განვითარების თანდაყოლილმა მანკმა და მემკვიდრეობითმა დაავადებებმა. ეს უკანასკნელნი, მსოფლიო სტატისტიკის მონაცემებით, განაპირობებს მსოფლიოში ბავშვთა ნაადრევი სიკვდილიანობის დაახლოებით 40 პროცენტს.

მწვავე სამედიცინო და სოციალურ პრობლემას ჩვენს ქვეყანაში შეისწავლიან რამდენიმე სამეცნიერო ცენტრში. ერთ-ერთია მინსკის სამედიცინო ინსტიტუტი. აქ თანდაყოლილი დეფექტების მიზეზების გამორკვევისა და მათი სიმედო დიაგნოსტიკის ტესტების ძიებისათვის 1977 წელს შეიქმნა სამეცნიერო ლაბორატორია, რომელსაც სათავეში უდგას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გენადი ლაზოუკი. მის კალამს ეკუთვნის ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ჰოლანდიისა და იმ ათობით სხვა ქვეყანაში გამოქვეყნებული მრავალი ნაშრომი ტერატოლოგიის საკითხებზე, რომლებთანა